სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080147544659416

 # 2724

23 / სექტემბერი /
2016 წ.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 16 სექტემბერს (19:58სთ) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის SMP160002505 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს ქალაქ ზუგდიდში ქუჯის ქ. №12-ში განთავსებული ცხრასართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მე-2 სადარბაზოში არსებული სამგზავრო ლიფტის შეკეთების მომსახურების (CPV-50700000 - შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება) შესყიდვას.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში 19 აგვისტოს შესული, ზემოაღნიშნულ მისამართზე მცხოვრებთა კოლექტიური, განცხადების საფუძველზე, მერიის ქალაქმშენებლობის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების, ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური მართვისა და მონიტორინგის განყოფილების მიერ მოწვეული სპეციალისტებისა და მოსახლეობის თანამონაწილეობით შესწავლილ იქნა განცხადებაში აღნიშნული ლიფტის ძრავის ტექნიკური მდგომარეობა. დადგენილ იქნა აღნიშნული ლიფტის რეაბილიტაციისათვის საჭირო სამუშაოების ნუსხა, ასევე ბაზრის ფასებთან შესაბამისობით გამოკვლეულ იქნა ადგილობრივი ბაზრის პირობებში ძრავის გადასახვევად საჭირო ხარჯების ღირებულება, მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შედგა შესასრულებელი სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, აღნიშნული ვითარების გამო საფრთხე ექმნება ზემოაღნიშნულ მისამართზე მცხოვრებ მოსახლეობას, ვინაიდან საცხოვრებელ კორპუსში ცხოვრობენ ხანდაზმული ადამიანები, პენსიონერები, აგრეთვე გულით მძიმედ ავადმყოფი და ოპერაცია გადატანილი ადამიანები, რომლებსაც არ შეუძლიათ ფეხით გადაადგილება.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს

№ 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვაშია მითითებული, შექმნილი ვითარება საფრთხეს უქმნის ზემოაღნიშნულ მისამართზე მცხოვრებ მოსახლეობას, ვინაიდან საცხოვრებელ კორპუსში მცხოვრებ ხანდაზმულ ადამიანებს, პენსიონერებს, აგრეთვე გულით მძიმედ ავადმყოფ და ოპერაცია გადატანილ ადამიანებს არ შეუძლიათ ფეხით გადაადგილება. შესაბამისად, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია შემსყიდველმა ორგანიზაციამ, შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთანავე, სააგენტო განმარტავს, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ სახელმწიფო შესყიდვები უნდა განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის SMP160002505 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.



თავმჯდომარე ლევან რაზმაძე